

გია ფერაძე

სევდის კრებული 2



გამომცემლობა ინტელექტი
თბილისი

რედაქტორი
ირმა ჩინჩალაძე

ISBN 978-9941-454-71-4

© ილია ფერაძე, 2014

© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2014

ძვირფასო მკითხველო!

მომავალ წელს ოცი წელი სრულდება ჩემი ძმის – მსახიობ გია ფერაძის გარდაცვალებიდან. ამ ოცი წლის განმავლობაში ბევრჯერ დავფიქრებულვარ, რითი იყო გამორჩეული იგი სხვებისგან, და რით დაიმსახურა მან ასეთი სიყვარული, რომ იგი ოცი წლის მერეც ახსოვთ და უყვართ, არა მარტო ძველი თაობის წარმომადგენლებს, არამედ ახალგაზრდა თაობასაც, რომლებიც მისი ზეობის პერიოდში დაბადებულებიც კი არ იყვნენ. დიდი თუ პატარა, როდესაც იგებენ, რომ მისი ძმა ვარ, ღიმილით ებადრებათ სახე და უმრავლესობა იჩემებს მის ახლო მეგობრობას.

ცნობილი პედაგოგების ოჯახში გაზრდილი, მათ პედაგოგიურ შეგონებებს თბილისური ეზო (არა იტალიური!), სამხატვრო ტექნიკუმის ფეხბურთის მოედანი, და მისი უდიდებულესობა ვერის უბანი უმატებდა ქუჩის აღზრდის მარგალიტებს. გენეტიკურად ნიჭიერი, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ძალზე მარტივად ითვისებდა ყველაფერს და კარგადაც გამოსდიოდა ყველაფერი, ფეხბურთის თამაშში პატარა მოედნებზე ტოლი არ ჰყავდა, ცურვაც ადვილად და პროფესიონალურად შეისწავლა, მუსიკა არასოდეს უსწავლია, თუმცა ფორტეპიანოზე ჯაზურ კომპოზიციებს და სიმღერებს უკრავდა, არაჩვეულებრივად ხატავდა და ერთი პერიოდი სამხატვრო სკოლაშიც დადიოდა. ცეკვაში კი მისი ცნობილი პედაგოგი იური ზარეცკი აღფრთოვანებას ვერ მალავდა მისი პლასტიკით და რაც მთავარია – მას დაჰყვა ჟორჟოლიანებისა და ფერაძეების გენეტიკური იუმორის

ნიჭი. არაჩვეულებივი გარეგნობა, ათლეტური აღნაგობა, მომხიბვლელი ღიმილი მას გამოარჩევდა გარშემომყოფთაგან და იგი სუსტი სქესის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა. დიდხანს ერთ ადგილას გაჩერება არ შეეძლო, უნდოდა რაც შეიძლება მეტ ადგილას მიმოეპნია სიყვარული, განსაკუთრებით ბავშვებისათვის, რომელთა ნამდვილი კერპი იყო ყველა ოჯახში.

მაგრამ ჩემი აზრით, იყო ერთი მთავარი რამ, რაც მხოლოდ მას ახასიათებდა, ესაა სიცოცხლისა და მოყვასის დაუოკებელი, მხოლოდ მისეული სიყვარული. დილით ადრე შინიდან გამოსულს ვინც არ უნდა შეხვედროდა, აუცილებლად გააღიმიებდა, რალაცას ნაეხუმრებოდა, ანეკდოტს მოუყვებოდა და რაგინდ მოღუშულ ხასიათზეც არ უნდა ყოფილიყო შემხვედრი, გაღიმიებულს გაისტუმრებდა.

იგი ღიმილს ჩუქნიდა გარშემომყოფთ. მასთან ერთად რუსთაველზე გავლა ხომ შეუძლებელი იყო. ერთხელ, რუსთაველის მოედნიდან რუსთაველის თეატრამდე მანძილის გავლას საათნახევარი მოვანდომეთ. დიდ-პატარა, ყველა აჩერებდა, ეფერებოდა, ანეკდოტის მოყოლას სთხოვდა... და ისიც დაუზარებლად, უარს არავის ეუბნებოდა. გია ფერაძე თბილისის ნამდვილ **რჩეულ** პიროვნებად იქცა. მე აქ ტყუილად არ მიხსენებია სიტყვა **რჩეული** (ვერ ვიტან ტერმინს „კოლორიტი“, რომელიც შეიძლება ლოთიც, გიჟიც და ბოზიც იყოს), ხოლო **რჩეული** პირდაპირი თარგმანია ამერიკული ტერმინისა „Celebrity“-ს, რომლითაც მხოლოდ გამორჩეულ პიროვნებებს ამკობენ.

მისი ცხოვრება შეიძლება ორ ნაწილად გავყოთ: დაბადებიდან 1985 წლის 19 მარტამდე და მის შემდეგ – 1995 წლის 20 დეკემბრამდე. პირველი არის აღმასვლა, ზეიმი, თეატრი, კინო, გასტროლები, წარმატებები, ფეიერვერკები და სხვა... ხოლო მეორე – ტრაგიკული შემთხვევა, დიდი უბედურება, სსრკ-ს ყველაზე საშინელი ციხეების პატიმრობა, აუტანელი ტანჯვა, ავადმყოფობა და ბოლოს ნანატრი სიკვდილი.

თუკი მისი ცხოვრების პირველი პერიოდის შესახებ ყველამ იცის, შესრულებული როლებიდან, რეცენზიებიდან, პირადი ურთიერთობებიდან, მისი ცხოვრების მეორე ნაწილი გისოსებშია მომწყვედებული, ყველასგან დაფარულია და ასახულია მხოლოდ მის ლექსებში. ლექსებს იგი სკოლის მერხიდან წერდა. თბილისის ბევრ ოჯახში შემო-

ნახული აქვთ მისი სტუმრობისას ხელსახოცზე დაწერილი ლექსები, რომლებიც რომ შეაგროვო, ერთ დიდ ტომზე მეტი გამოვა. ასევე ხელსახოცებზე აქვს დაწერილი ბევრი სიმღერა, რომელსაც თბილისის ცნობილი **რჩეული** მომღერლები ასრულებდნენ: **გოგი დოლიძე, მედეა ძიძიგური, ქეთი ჯაფარიძე** და სხვები. ამ სიმღერებს დღესაც მღერიან საქართველოში, ისევე როგორც მამაჩვენის, ბიძინა ფერაძის ტექსტზე დაწერილ **XX** საუკუნის უკვდავ სიმღერას „ყვავილების ქვეყანას“.

გიას სულის ტრაგედიაზე კარგად მეტყველებს ეს ლექსები, რომლებიც სსრ კავშირის სხვადასხვა ციხეში და ციხიდან ციხემდე ეტაპებშია დაწერილი. 7 წლის პატიმრობის განმავლობაში 30-მდე სქელტანიანი რვეული დაგროვდა, რომლებიც ციხეში პაემნების შემდეგ ჩამომქონდა: **ვლადიმირიდან** (მოსკოვის ოლქი), **შუშადან** (აზერბაიჯანი), **იაკუტსკიდან** (ციმბირი), **მახაჩყალიდან** (დაღესტანი), **ხონიდან**, **რუსთავიდან**, **თბილისის საპყრობილიდან**. ლექსების გეოგრაფია და პერიოდი ემთხვევა გიას სხვადასხვა საპყრობილეში მოგზაურობას („ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობისა“ არ იყოს)...

თავიდან, იმ დიდი უბედურების მერე, ციხეში მოხვედრისთანავე თითქმის არ ეძინა და გია განუწყვეტლად წერდა ლექსებს. პირველად ამ ლექსების ნაწილი 1998 წელს გამოვაქვეყნე, დედას გარდაცვალების მერე, რომელიც სამწუხაროდ, ვერ მოესწრო მათ დაბეჭდვას. წიგნს გიას თხოვნით „**სევდის კრებული**“ დავარქვი. მან ერთ-ერთი რვეულის ყდაზე მიმინერა:

„თუ ჩემ ცხოვრებას
წიგნად აკინძავ,
დაარქვი იმას
სევდის კრებული“.

„სევდის კრებულზე“ მაშინ დიდხანს და გულმოდგინედ იმუშავა ჩემმა მეგობარმა ლიტერატორმა თამაზ ტყემალაძემ და მასში მხოლოდ მცირედი ნაწილი შევიდა პაემნებიდან ჩამოტანილი ლექსებიდან. გასაგები მიზეზების გამო, წიგნიც მცირე ტირაჟით გამოვეცი, არ გამიყიდა და იგი უცებ დაიტაცეს ნაცნობ-მეგობრებმა.

მას მერე 16 წელი გავიდა. გიას სხვა ლექსები ჩემი კაბინეტის თაროზე ელოდნენ თავის ჯერს და აი, ღვთის ნყალობით, გამოჩნდა გამომცემლობა „ინტელექტი“ და პირადად ზვიად კვარაცხელია, რომელმაც გადაწყვიტა გია ფერაძის სხვა ლექსების გამოქვეყნება, რისთვისაც მისი უსაზღვროდ მადლიერი ვარ.

ვინაიდან, როგორც აღვნიშნე, პირველ კრებულს, გიას თხოვნით „სევდის კრებული“ დავარქვი, მე და ზვიადმა გადაწყვიტეთ ამჯერადაც გიას სურვილს დავყოლოდით და ამ წიგნსაც ვუწოდეთ „სევდის კრებული 2“ და მასში შევიტანეთ 1998 წლის კრებულიდან რამდენიმე მართლაც შესანიშნავი ლექსი, რომელიც უცნობია ფართო საზოგადოებისთვის.

შესაძლოა ყველა ლექსი პოეტურად არც იყოს მთლად სრულყოფილი, მაგრამ მათში იკვეთება ჩემი ძმის სულიერი განცდები, ალალი გრძნობითაა დაწერილი და კარგად მოსჩანს გისოსებს მიღმიდან დაწახული გარე სამყარო.

ილიკო ფერაძე

ნიგნიდან
სევდის კრებული
(1998)

ყაყაჩო

ჩემსავით მარტო, მოწყენით,
ჩემსავით განმარტოვებით,
ციხის კედლებშიც იზრდება
ნითელი ყაყაჩოები.

შორიდან ჩუმი ალერსით,
სარკმლიდან ფრთხილად ვდარაჯობ.
ალბათ ცოტა აქვს მისჯილი
ამ ჩვენი ზონის ყაყაჩოს.

სხვაობა იცით რაშია?!
და განსხვავება რა არის?
პატიმარ ყაყაჩოს ზემოთ
ვეებერთელა ცა არის.

მე კი, რამდენი ხანია,
ვარამს ჩემს გულში ვინახავ,
არცა მზე, არც ვარსკვლავები,
წლებია რაც არ მინახავს.

მე და ყაყაჩო ერთნი ვართ,
სიკეთისაკენ მარები,
ორივე ცოდვის შვილი და
ორივე პატიმარები...

*აზერბაიჯანი.
შუმის საპყრობილე.*

* * *

გაზაფხულდა, ცა კამკაშებს,
გაიკვირტა აკაცია,
ჩაბნელებულ კამერაში
ჩამწყვდეული რვა კაცია.
ზოგს ეხება შეწყარება,
ბევრმა წერა კასაცია,
დარდმა, ფიქრმა, ტანჯვა-ხვენნამ
ბევრის გული გააცია.
ჩაბნელებულ კამერაში
ჩამწყვდეული რვა კაცია,
გარეთ უკვე მზის სხივებმა
გადაშალა აკაცია.
რვა კაცი წევს „კოიკაზე“
და ჭერს უცქერს ყველას თვალი,
ყველას თავის გასაჭირი,
საფიქრალი, საფიქრალი...

1985 წ. 8 აპრილი

* * *

ღმერთო, ვინა ვარ, მითხარი!
რით ვსუნთქავ, გამაგებინე,
თუ ტანჯვის ტვირთი ამკიდე,
ბოლომდე წამაღებინე.

ასეთი რა დაგიშავე,
უბედური რომ გამხადე,
ღმერთო, ტყუილად გარჯილხარ,
თუ სატანჯველად დამხადე.

სიბერე მომდევს კვალდაკვალ,
სულ ცოტაც, და დამეწევა,
ნეტავ ამდენი ნალველი
რომელ ერთ გულში ეტევა...

სულის ამოთქმა მაცადე,
შემარგე ჩემი ჭაღარა,
ხედავ, რომ ბედმა ტიალმა
ისედაც არ გამახარა.

ერთი თხოვნა მაქვს პირადი,
ცოტა ხანს გამაძლებინო,
ის ტვირთი შემიმსუბუქო,
ბოლომდე წამაღებინო.

გადამიწყვიტე, როგორც გსურს,
ჩემი სათქმელი გითხარი,
რით ვსუნთქავ, რითი ვარსებობ,
ღმერთო, ვინა ვარ, მითხარი!

1987 წ. 1 ოქტომბერი

ოზობა

ცხოვრობს საკანში ჩემს თავზე,
ოზობა მრავალფეხება,
ქსოვს და ქსოვს ბადებლართებს და
სულიერს სულ არ ეხება.

ციცქნა ბუზი რომ ბუზია,
ისიც არ დაუჭერია,
არავის ცოდვა არ ანევეს,
ის ჩემზე ბედნიერია.

– ოზობა, ქსოვე ფიქრები,
როდესაც მარტო ვიქნები!

შენისთანები ამ ქვეყნად
დარჩნენ ძალიან ცოტანი,
შენა ხარ სიხარულის და
ბედნიერების მომტანი.

მე ახლა უკვე ციხის და
მისი კედლების მკვიდრი ვარ,
როგორც შენ ძაფზე, ისე მეც,
ყველას ფეხებზე ვკიდევარ.

მიკვირს, რატომ არ ისვენებ?!
რომ ქსოვ, ყინვა თუ სიცხეში!
ციხეში ცხოვრობ და შენს თავს
რატომ სვამ კიდევ ციხეში?

ახლა გავიგე სიმნარე,
თუ რა ყოფილა ობლობა,
ორივე პატიმრები ვართ,
მსჯავრდადებულო ობობა.

– ობობა, ქსოვე ფიქრები,
როდესაც მარტო ვიქნებით!..

1986 წლის 15 ნოემბერი

* * *

დღეს აპრილის ექვსია,
მაგრამ თოვლი მაინც დევს,
რაც მე დამიკვნესია,
რა სანყაო დაიტევს?

დღეს ექვსია აპრილის,
„პრიმა“ ჩაღნა კბილებში,
სული დაშნით დაჭრილი
ფოფხავს გვამის დილეგში.

ხო, აპრილის ექვსია,
არ ჩანს სხივი მთვარისა,
ეს ციმბირის წესია,
ამ დანყველილ მხარისა.

ფიქრებს ისე ვიცილებ,
როგორც კოლოს ყულევის,
გარეთ ატანს სიცივე
ძვლების, ნამარხულევის.

იგვიანებ, წერილო...
ყველას გადავაგინყდი,
გულო, გადასერილო,
დღემდე რად არ დამინდი?

...დღეს აპრილის ექვსია,
ვერ კი მათბობს საბანი,
აჰა, ეს თუ ლექსია,
მლაშე ცრემლით ნაბანი.

მტრედო, მტრედო, გევედრები...

მტრედო, ხატო მშვიდობისა, შიშით რატომ კრთები?
გევედრები, სულ ერთი დღით რომ მათხოვო ფრთები.
მე იმნამსვე გავფრინდები, ცისკენ გავიჭრები.

ვინახულე მამადავითს და ჩემს გალაკტიონს,
თავზე სამჯერ შემოვუფრენ ჩემს უწმინდეს სიონს,
ფრთებმა თუკი არ მიმტყუნა, ვნახავ კავკასიონს.

ხობხის ქალაქს, დედა თბილისს თუ ვენწვევი ღამით,
და შევატყობ, გულის ცემა რომ ჩერდება წამით...
მარგალიტის მძივებზე ბრწყინავს ჩირაღდნები,
მტრედო, მტრედო, გევედრები, რომ მათხოვო ფრთები!..

*იაკუტია, ტაბაგა. ტუბზონა
1989 წელი*

ფერისცვალება!

რა აღარ ვნახე და განვიცადე,
რამდენი გვემა, ტანჯვა, წვალება.
გავთეთრდი, სახე ნაოჭად მექცა,
– ესაა ჩემი ფერისცვალება!

ჭლექმა დაფლითა ჩემი ფილტვები,
ცრემლი იწვიმა ჩემმა თვალებმა,
სიკვდილს ვნატრულობთ, ისიც არა ჩანს,
– ესაა ჩემი ფერისცვალება!

დღეს მდინარეში ყინვა ჩავარდა
და შემოდგომას გაულო კარი,
თბილისში ალბათ გაინავარდა...
ცელქია ჩვენი თბილისის ქარი.

მე კი მთლიანად ყინულად ვიქეც,
ვერდამვიწყები ჩემი წარსულის;
ცვალება ფერის არაფერია,
საშინელია ცვალება სულის.

ნარზე უაზროდ ყრია ხელები
(ამათ მოჰქონდათ შენთან იები),
სულში შემძვრალან ღრიანკალები!
ფილტვებს ჰკოცნიან შავი ქიები.

ნარზე უაზროდ ყრია ფეხები,
(გაქცევა სურდათ სიზმრად წუხელი),